(დამტკიცებულია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის
2019 წლის 30 ივლისის №660/ი ბრძანებით)

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
თბილისი
2019

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსი

პრეამბულა

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ეთიკის კოდექსის (შემდგომში - ეთიკის კოდექსი) გაზიარებით თითოეული პირი იღებს პასუხისმგებლობას, განამტკიცოს საზოგადოების ნდობა მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმისადმი.

ეთიკის კოდექსი ეფუძნება ნორმებს, რომლებიც საზოგადოების ღირებულებათა სისტემის უმაღლესი გამოხატულებაა. ეთიკის კოდექსის მიზანია, ხელი შეუწყოს პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტების (შემდგომში - ექსპერტი) პროფესიული ღირსების შესაბამისი ქცევის ერთიანი წესების დამკვიდრებასა და საკუთარი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებას.

მუხლი 1. კეთილსინდისიერება

ექსპერტი საქმიანობისას ვალდებულია დაიცვას კეთილსინდისიერების პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ:

1. ექსპერტი ნებისმიერ სიტუაციაში უნდა მოქმედებდეს ისე, რომ ზიანი არ მიაყენოს საკუთარ და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) რეპუტაციას;
2. ექსპერტი სამსახურებრივი საქმიანობისას უნდა ხელმძღვანელობდეს ეთიკური ნორმებით;
3. ექსპერტი უნდა იყოს კონსტრუქციული და შედეგზე ორიენტირებული, რაც გულისხმობს პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის მიზნების შესრულების ხელშეწყობას;
4. ექსპერტი ეფექტიანად უნდა იყენებდეს სამუშაო დროს, ინტელექტუალურ შესაძლებლობებსა და სხვა რესურსებს;
5. ექსპერტი არ უნდა იყენებდეს პროფესიულ ან ინსტიტუციურ პრივილეგიას პირადი მიზნებისთვის;
6. ექსპერტმა უნდა მიაწოდოს ცენტრს ინფორმაცია ყველა იმ დაწესებულების შესახებ, რომელთანაც აქვს საქმიანი ურთიერთობა.

მუხლი 2. ობიექტურობა/მიუკერძოებლობა

ექსპერტი საქმიანობისას ვალდებულია იყოს ობიექტური/მიუკერძოებელი, რაც გულისხმობს, რომ:

1. ექსპერტი საკუთარი ფუნქციების შესრულებისას თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი წინასწარი განწყობებისა და შეხედულებებისაგან;
2. ექსპერტი უნდა ინარჩუნებდეს ნეიტრალურობას ნებისმიერ სიტუაციაში და არ ექცეოდეს დაინტერესებული მხარეების გავლენის ქვეშ, მათი სტატუსის მიუხედავად;
3. ექსპერტმა არ უნდა მიიღოს საჩუქარი ან სხვა ნებისმიერი სარგებელი დაწესებულებისგან ან სხვა ნებისმიერი იმ პირისგან, რომელიც ჩართულია სააკრედიტაციო პროცესში.

მუხლი 3. კოლეგიალობა

ექსპერტი საქმიანობისას ვალდებულია დაიცვას კოლეგიალობის პრინციპი, რაც გულისხმოს, რომ:

1. საჯაროდ/ფორმალურ გარემოში ექსპერტის აზრის გამოხატულება არ უნდა იყოს მიმართული მისი კოლეგების, ცენტრისა და მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

საქმიანობის დისკრედიტაციისაკენ. კონსტრუქციული და განმავითარებელი კრიტიკა არ ჩაითვლება მადისკრედიტებელ ქმედებად.
2. ექსპერტი ორიენტირებული უნდა იყოს თანამშრომლობაზე და არ ცდილობდეს პრივილეგირებულ პოზიციაში თავის წარმოჩენას.

მუხლი 4. თვითგანვითარება
ექსპერტი ვალდებულია მუდმივად ზრუნავდეს თვითგანვითარებაზე, რაც გულისხმობს, რომ:
1. ექსპერტი უნდა გამოხატავდეს მუდმივ მზაობას, იყოს ჩართული პროფესიული განვითარების მიზნით დაგეგმილ ღონისძიებებში;
2. ექსპერტი უნდა ეცნობოდეს შესაბამის სფეროში მიმდინარე სიახლეებს.

მუხლი 5. კონფიდენციალურობა
ექსპერტი ვალდებულია არ გაასაჯაროვოს ან/და პირადი ინტერესისთვის არ გამოიყენოს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მოპოვებული ინფორმაცია ან/და შესაბამისი დოკუმენტები.

მუხლი 6. ეთიკის კოდექსის დარღვევის შედეგები
ექსპერტის მიერ ეთიკის კოდექსის დარღვევა წარმოადგენს ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესით“ გათვალისწინებული წარმოების დაწყების საფუძველს.